ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს „აისი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204951481
დაწესებულების მისამართი	ქ. თბილისი ქავთარაძის 1-ლი შესახვევი მე-10 კორპუსი

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 09.03 21 წლის ბრძანება MES 2 21 0000208572
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	ნატო გაბოშვილი-თავმჯდომარე ცირა ნიკოლაშვილი-წევრი
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	16.03.2021 წ
დასკვნის მომზადების თარიღი	05.04.2021
დასკვნის წარმოდგენის თარიღი	06.04.2021

მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, 2020 წლის 06 ნოემბერს №1071923 შემოსული სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი 1027229, 23/10/2020წ.) საფუძველზე, რომელიც ეხება სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N2 საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლის, გაბრიელ სამუშიას კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ,,აისში" მობილობის გარეშე ჩარიცხვის საკითხს, დაიგეგმა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი მონიტორინგის მიზნით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 09.03 21 წლის ბრძანებით MES 2 21 0000208572 განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-7 მუხლის „ზ" და „ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება.

ვიზიტი, დისტანციურად, განხორციელდა 2021 წლის 16 მარტს. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა შპს „აისის" მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მოსწავლე გაბრიელ სამუშია, დაბადებული 2011 წლის 11 ოქტომბერს, 2019 წლის 6 სექტემბერს ჩარიცხულია აღნიშნული სკოლის პირველ კლასში (სკოლის დირექტორის ბრძანება N75, 6.09.19), ჩარიცხვის საფუძველია სამინისტროს თანხმობა, მშობლის განცხადების საფუძველზე გაცემული, რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით. წერილს MES 31901145850 06.09.19 წ, ხელს აწერს ადმინისტრაციის დეპარტამენტის ფუნქციათა შემსრულებელი ლევან ჩირგაძე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემულ წერილში მითითებულია, რომ თანახმაა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, მოსწავლე ჩარიცხულ იქნას ამ სკოლაში, თუ სხვა ნორმები იქნება დაცული. გადამოწმდა ასევე ავტორიზაციის შედეგად სკოლისთვის განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის ნორმა, რომლის ფარგლებშიც, სკოლას უფლება ჰქონდა მოსწავლის ჩარიცხვის. აღნიშნული ნორმა დაცულია.

ამჟამად, აღნიშნული მოსწავლე, ამავე სკოლის მეორე კლასის მოსწავლეა, ინფორმაცია ასახულია მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში. ვიზიტის პერიოდში, შპს „აისის“ ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრების შემდეგ, გარკვეული დეტალების დაზუსტებისთვის, საჭირო გახდა მოსწავლე გაბრიელ სამუშიას მშობელთან გასაუბრება. ადმინისტრაციის დახმარებით , ზუმის პლატფორმის გამოყენებით მოხდა გაბრიელ სამუშიას დედის ქალბატონ ნანა სამუშიას ჩართვა. მასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ 2018 წელს, გაბრიელ სამუშია ჩაირიცხა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N2 საჯარო სკოლაში, სადაც მან პირველი სემესტრის განმავლობაში იარა, ამ პერიოდში მან ვერ წარადგინა სკოლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია-დაბადების მოწმობა, რადგან, მშობელი იყო რუსეთის მოქალაქე. ხოლო შემდეგ მიატოვა სწავლა. მომდევნო წელს, ანუ 2019 -შ კი ჩაირიცხა კვლავ პირველ კლასში, შპს“აისში“. ამჟამად წარმოდგენილი დაბადების მოწმობის რეგისტრაციის თარიღია 2020 წლის 25 ნოემბერი. ბავშვის დაბადების ადგილია რუსეთი, მოსკოვი.

ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანებით, განისაზღვრა დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-7 მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ქვესტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები. **წარმოდგენილია** კერძო საშუალო სკოლა **შპს „აისი“ წესდება** დამტკიცებული 2000 წლის 09 ივნისს შპს „აისის“ დირექტორის მიერ. **დაწესებულების შინაგანაწესი დამტკიცებულია** კერძო საშუალო სკოლა შპს „აისის“ დირექტორის 2016 წლის 23 აგვისტოს N66 ბრძანებით.

	სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებსა და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შრომითი ურთიერთობების პირობებს, სამსახურეობრივი მივლინებას, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტას/საბოლოო ანგარიშსწორებას, წახალისების ფორმებსა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას, სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, მოსწავლის პირად გასინჯვას, სიცოცხლის ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, განცხადების/საჩივრის განხილვის წესს. შინაგანაწესის 27-ე მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის პირობებს, დადგენილ ვადებში მშობლის/მეურვის მიერ სკოლაში წარმოსადგენ საბუთთა ნუსხას; განსაზღვრულია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა; შინაგანაწესის მე-19 მუხლი განსაზღვრავს დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებსა და „დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს.“ შინაგანაწესში არ არის განსაზღვრეული დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის კონკრეტული სახე რომელი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში გამოიყენება. მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის განკუთვნილი სახდელები გამჭვირვალეა; დაკონკრეტებულია, დისციპლინური სახდელებისა და დისციპლინური გადაცდომების შესაბამისობა.შინაგანაწრესი დაწესებულების მიერ, ვორდის ფაილით არის წარმოდგენილი, არ არის დამტკიცებული და მას არ აქვს ოფიციალური დოკუმენტის სახე. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა შინაგანაწესის დამტკიცებული ვერსია. **წარმოდგენილია** სკოლა შპს „აისის“ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი **საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა,** რომელის დამტკიცებულია 2020 წლის 30 აგვისტოს დაწესებულების დირექტორის მიერ. დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის ვალდებულებები, რისკის შემცველი შემთვევების

	მართვის პროცედურა, სკოლის პერსონალის, მოსწავლის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, სკოლის ექიმის, მესამე პირთა ვალდებულებები და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კერძო საშუალო სკოლა შპს „აისი“ წესდება, დამტკიცებული 09 ივნისი, 2000 წ. • კერძო საშუალო სკოლა შპს „აისი“ შინაგანაწესი, დამტკიცებული 23 აგვისტო, 2016 წ. • სკოლა შპს „აისის“ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული 30 აგვისტო, 2020 წ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილია შპს „აისის“ მიერ ბრძანებების აღრიცხვის, შემოსული და გასული განცხადებების აღრიცხვის ჟურნალების ამსახველი ფოტომასალა. ჟურნალები არის ზონარგაყრილი და დანომრილი. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვისა და ამორიცხვის ბრძანებები; სკოლაში გახსნილია მობილობის პროცედურით ჩარიცხულ მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებშიც განთავსებულია შესაბამისი დოკუმენტაცია. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის ვადის გარეშე ჩარიცხულ მოსწავლეთა პირად საქმეებში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და/ან განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები მოსწავლის მობილობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანებების ჟურნალით; • შესული და გასული კორესპონდენციის ჟურნალებით; • რეგისტრაციის ჟურნალით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია